უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 9

20 13 წ. "01" 03

ქ.თბილისი

შპს - უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 56^3-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 204379083) 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (კოლეჯი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით.
2. შპს - უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის პირველი აგვისტოს №2 სხდომის ოქმის მე-4 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ნინო ჩინჩალაძე

მდივანი
ანა ბახტურიძე

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით**	**მისანიჭებელი კვალიფიკაცია**
ბაკალავრიატი	1.ფარმაცია	1.ჯანდაცვის ბაკალავრი ფარმაციაში
	2.მენეჯმენტი (დამატებითი (minor) სპეციალობა – ფინანსები)	2.ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში
	3.ფინანსები (დამატებითი (minor) სპეციალობა – მენეჯმენტი)	3.ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში
	4. კომპიუტინგი (დამატებითი (minor) სპეციალობა – ავტომატიზაცია და საინფორმაციო სისტემები	4.ინჟინერიის ბაკალავრი კომპიუტინგში